



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 ოქტომბერი 2024



N 597/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ასკანგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ასკანგელ ალიანსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 14 მარტს შპს „ასკანგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი ქარხნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2023 წლის 12 სექტემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №458/ს). ამასთან, 2023 წლის 7 ნოემბერს აღნიშნული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №617/ს), რომლის საფუძველზე, საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.19.15.175; ფართობი: 21 079 მ²). არსებული მდგომარეობით, ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებულია: საკონტროლო შენობა, ადმინისტრაციული შენობა, ძირითადი საწარმოო შენობა, დაფასების და სასაწყობე შენობა, პროდუქციის სამარაგო 4 სილოსი, სასწორი, ჭაბურღილი და ორსექციანი სალექარი. ქარხნის ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით, ხოლო მცირე ნაწილზე წარმოდგენილია გაზონები. ქარხნის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 250 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ნატანები – 64 მეტრით. ქარხანას ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სამხრეთით – საავტომობილო გზის გზა, ხოლო დასავლეთით – შპს „გეომაგინვესტპრომის“ საკუთრებაში არსებული ყოფილი კაოლინის საწარმო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რაც გულისხმობს შრომის ტექნოლოგიურ ხაზში შემრევი აგრეგატისა და სილოსის დამატებას, გაცრის

არსებული ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟს და ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობას, ასევე, საწარმოო შენობის გარეთ დიზელის რეზერვუარის განთავსებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ბენტონიტური თიხის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ქარხანაში შეტანილი ნედლეულის სოდით, ან სოდით და მაგნიუმით აქტივაციას და ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით, მიმღებ ბუნკერში ჩაყრას, საიდანაც ბენტონიტური თიხა მიეწოდება თათებიან გამაფხვიერებელს. გაფხვიერებული თიხა, ლენტური ტრანსპორტიორით, გადადის ქვის ვალცური სეპარატორისკენ, საიდანაც გამოცალკევებული ქვები გროვდება ლითონის ავზში, ხოლო დაქუცმაცებული ნედლეული – შემრევიში, შემდგომი კალიბრაციის მიზნით. შემრევიდან ნედლეული, ლენტური ტრანსპორტიორით, იტვირთება საშრობ დოლში, რომელიც აღჭურვილია მტვრის დამჭერი აირგამწმენდი სისტემით და ქსოვილოვანი სახელოებიანი ფილტრებით. ფილტრებში დაჭერილი მტვერი, მზა პროდუქციასთან ერთად, გადის სარეალიზაციოდ. ქარხანაში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გათვალისწინებულია ფილტრებში დაჭერილი მტვრის ტექნოლოგიურ პროცესში დაბრუნება, კერძოდ, ნედლეულის აქტივაციის პროცესის გაუმჯობესებისა და მტვრის შემცირების მიზნით, შრობის ტექნოლოგიურ ხაზში, ქვის ვალცური სეპარატორის შემდგომ, დაემატება 30 ტ/სთ წარმადობის მქონე შემრევი აგრეგატი (GPS კოორდინატები: X-256203; Y-4647779), რომელიც უზრუნველყოფს მიმღებ ბუნკერში ჩატვირთული აქტივირებული თიხისა და საშრობი დოლის აირგამწმენდი სისტემის ფილტრებში დაჭერილი თიხის მტვრის აქტიურად შერევას, რასაც ტენიანობის გასაზრდელად დაემატება მცირე რაოდენობის წყალი. საშრობი დოლის აირგამწმენდი სისტემის ფილტრებში დაჭერილი მტვერი, ტექნოლოგიურ პროცესში დაბრუნებამდე, განთავსდება 50 მ³ მოცულობის სილოსში, რომელიც მოეწყობა აირგამწმენდი სისტემის გვერდით (GPS კოორდინატები: X-256205; Y-4647791). სილოსში მტვრის ჩასატვირთად და შემდგომ ახალ შემრევი დანადგარში დოზირებულად გადასატვირთად დამონტაჟდება დახურული, ხრახნული კონვეიერები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ასევე დაგეგმილია არსებული გაცრის ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი და საწარმოო შენობის დასავლეთ კედელთან ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა, რისთვისაც შენობის გარეთ განთავსდება 50 მ² ფართობის მქონე ორსართულიანი მიშენება. ახალი ტექნოლოგიური ხაზის შემადგენლობაში იქნება: 2 მიმღები ბუნკერი (4 მ³); 2 საცერი; 2 სამსხვრევი და 2 შესაფუთი წერტილი. ახალი ხაზის ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს მიმღებ ბუნკერებში ბენტონიტური თიხის ჩატვირთვას, დახურული ხრახნული და ნორიოს ტიპის კონვეიერების საშუალებით, საცრებში გადატვირთვას და გაცრილი პროდუქციის შეფუთვას. გაცრის შემდგომ მიღებული მსხვილი ფრაქცია, დახურული ხრახნული კონვეიერით, მიეწოდება სამსხვრევეს, რის შემდგომაც დამსხვრეული მასალა კვლავ გაიცრება და შეიფუთება. მიღებული პროდუქციის ფრაქციული შემადგენლობა იქნება: 0-2.5 მმ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწვავის სარეზერვო მარაგისთვის, საწარმოო შენობის გარეთ მოეწყობა დახურული, მეტალისფურცლოვანი ნაგებობა (ზომები 2 მ x 2 მ), სადაც განთავსდება დაახლოებით 900 ლიტრი მოცულობის დიზელის საწვავის რეზერვუარი, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩასასხმელი ე.წ „პისტოლეტით“. შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გავრცელების პრევენციის მიზნით, დიზელის რეზერვუარი შემოიზღუდება.

სკრინინგის გაცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან, რაც გაგრძელდება 2 თვის განმავლობაში, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო მასალა ქარხნის ტერიტორიაზე შევა მზა სახით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ქარხანაში წყლის გამოყენება მოხდება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე საწარმოო დანიშნულებით. შემრევ აგრეგატში თიხის ტენიანობის გასაზრდელად გათვალისწინებულია დღეში 100 ლიტრი წყლის გამოყენება, რომლის აღებაც მოხდება ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები იკრიბება ბეტონის, ჰერმეტიკულ საასენიზაციო ორმოში, რომელიც იწმინდება პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ქარხანაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით, ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. რაც შეეხება სანიაღვრე წყლების მართვას, დოკუმენტის თანახმად, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. სანიაღვრე წყლების შესაკრებად ტერიტორიის ირგვლივ, სათანადო დახრილობით, მოწყობილია შემკრები სისტემა და წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, არხების მეშვეობით, გროვდება რკინაბეტონის ორსექციიან სალექარში (ზომები: 4 მ x 3 მ x 1.5 მ). აღნიშნული სალექარი უზრუნველყოფს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების შეწონილი ნაწილაკებისაგან 60 მგ/ლ-მდე გაწმენდას. გაწმენდილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, დაახლოებით 45 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა პლასტმასის მილით, გადის ქარხნის ტერიტორიიდან, ხოლო შემდგომ, 20 მეტრი სიგრძის ღია არხის საშუალებით, ჩაედინება მდ. ნატანებში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-256117 Y-4647726).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ქარხნის ფუნქციონირების ეტაპს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ობიექტები განთავსებული იქნება დახურულ შენობა-ნაგებობებში, ხოლო ტექნოლოგიური პროცესები განხორციელდება დახურული ციკლით. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ახალ შემრევ აგრეგატში თიხის ტენიანობის გასაზრდელად გამოყენებული იქნება წყალი, რაც ხელს შეუწყობს მტვრის ემისიების შემცირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, დოკუმენტში წარმოდგენილია ქარხნის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის დონე შეადგენს 42 დბა-ს, რაც შესაბამისობაშია „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ნორმებთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქარხანაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები უნარჩუნოა, ხოლო ობიექტზე წარმოქმნილი არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების მართვა ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქარხნის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება განხორციელდება არსებული ქარხნის ანთროპოგენურად სახეცვლილ გარემოში და არ იქნება დაკავშირებული ახალი ტერიტორიების ათვისებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების გაზრდა მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ასკანგელ ალიანსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ასკანგელ ალიანსი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2023 წლის 12 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №458/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ასკანგელ ალიანსი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
4. შპს „ასკანგელ ალიანსი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
5. შპს „ასკანგელ ალიანსი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ახალი

ტექნოლოგიური ხაზისა და დიზელის საწვავის რეზერვუარის განთავსების ადგილების დაზუსტებული GPS კოორდინატების სააგენტოში წარმოდგენა;

6. შპს „ასკანგელ ალიანსთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2023 წლის 12 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №458/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ასკანგელ ალიანსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ასკანგელ ალიანსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/597-21-4-202410181250>

